მანანა გელაშვილი

Manana Gelashvili

ერთი სემესტრი ჯოჯოხეთში

(In Memoriam მიხეილ კვესელავა)

A Term in Hell

(In Memoriam Mikheil Kveselava)

მიხეილ კვესელავას ღვაწლი ქართული ლიტერატურათმცოდენობის, ზოგადად ქართული კულტურის განვითარებაში იმდენად დიდი და მრავალფეროვანია, რომ ერთ სტატიაში ყველაფრის გაანალიზება შეუძლებელია. ამიტომ, ჩემი მცდელობა მხოლოდ იმ უმთავრეს მომენტებზე შეჩერდება, რომლითაც მისმა მოღვაწეობამ წაუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე და ჩემს თაობაზე, რადგან ყველაფერი, რასაც იგი აკეთებდა, წიგნები იყო, ლექციები, თუ საუბრები, იყო თავისუფალი, კლიშეებისაგან დაცლილი აზროვნების საუკეთესო ნიმუში, რაც საბჭოთა სინამდვილეში (და ალბათ, პოსტსაბჭოთაშიც) სანთლით იყო საძებნელი.

პირველი წიგნი, რომლითაც მიხეილ კვესელავას სახელი ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ,,ას ერგასის დღე'' რომელიც სამ წიგნად დაისტამბა 60-70-იან წლებში. ერთი შეხედვით წიგნი მემუარული ჟანრია. აკი თავად ავტორს აქვს ქვესათაურად წარმოდგენილი: სამამულო ომისა და ნიურნბერგის პროცესის მონაწილის ნაამბობი, განცდილი და გაგონილიო. თუმცა ყველაფერი, სათაურიდან დაწყებული, რომელიც ძველი აღთქმის დაბადების წიგნში ნახსენებ წარღვნაზე მინიშნება იყო (,,და ამაღლდა წყალი ქუეყანასა ზედა ასერგასის დღე.) ცალკეული წიგნების სათაურებით გაგრძელებული (,,თემიდას თვალები'', ,,ნემეზიდას მახვილი'', ევროპის მოტაცება'') და წიგნის სტილით დამთავრებული, ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მკითხველი ამ ჟანრის ნაწარმოებისაგან მოელის. უცხო და განსხვავებული იყო წიგნის სუპერიც რომელიც, მაშინ ახალგაზრდა და უცნობ მხატვარს თემო გოცაძეს ეკუთვნოდა და, რომელიც სოციალისტური რეალიზმის სტილში შესრულებული სამამულო ომის ილუსტრაციის ნაცვლად ჯოჯოხეთის შთამბეჭდავ სიმბოლურ ვიზუალიზაციას წარმოადგენდა.

წიგნში ომის მოგონებებზე არა ნაკლები ადგილი ზოგად ლიტერატურულ და ფილოსოფიურ წიაღსვლებს ეთმობა, რომელიც ერთი კონკრეტული ომის, მეორე მსოფლიო ომის ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში გააზრებას ემსახურება და კეთილისა და ბოროტის, დანაშაულისა და სასჯელის, ადამიანურობის საზღვრებისა ძიებას წარმოადგენს. ამგვარი წიაღსვლები, ერთი მხრივ, ავტორის

უზარმაზარი ნაკითხობითა და ცოდნით აოცებს მკთხველს, მეორე მხრივ კი - ამ უზარმაზარი მასალის ორგინალური, არასტანდარტული გააზრება. უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან ადამიანის შემოქმედებით მოღვაწეობის უსაზღვრო შესაძლებლობებზე წერს და შემოქმედებით პროცესს ბუნების მიბაძვად კი არ აღიქვამს, არამედ ადამიანის უკიდეგანო წარმოსახვით შექმნილ ახალ რეალობად. ამგვარი მოსაზრებები, რომელსაც გახდა ცნობილი, სტატიაში მაგალითად მოვიყვან, წიგნში უხვადაა და რადიკალურ კონტრასტს წარმოქმნიდა საბჭოთა სინამდვილეში დამკვიდრებული მოსაზრებებთან შედარებით:

> *ყურება ყველას შეუძლია, ხედვა კი - არა. "თვალები გახელილი რომ გაქვს, მიტომ გგონია, რომ ხედავ?" - წერდა შექსპირი. ადამიანებს, რომლეებიც იყურებიან, მაგრამ ვერაფერს ხედავენ, გოეთე უწოდებდა "ბრმებს ღია თვალებით". მისი აზრით, ნამდვილი ,,**ხედვა ფორმის მიცემაა**”...*
>
> *როცა საგნებისა და მოვლენების ნამდვილ ხედვაზე მიდგება საქმე, ილიაც ასკვნის: "ხორციელი ხედვა ამისთვის უღონოა". იგი ასეთ შემთხვევაში გულის თვალებზე ფიქრობს და მშვენიერ ქართულ კომპოზიტს - "გულისყურსაც" მოიმარჯვებს ხოლმე, თუნდაც იმ ბგერების მისაწვდომად, რომელნიც უფრო შორს მიდიან, ვიდრე საზღვარია ჩვენი სმენისა.*

,,ას ერგასის დღეს'' სხვა ნაშრომი ,,ფაუსტური პარადიგმები'' უსწრებდა. თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაკლებ პოპულარული, ვიდრე ,,ას ერგასის დღე'', მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი. ,,ფაუსტური პარადიგმები'' იყო მიხეილ კვესელავას სადოქტორი დისერტაცია, რომელიც ორტომეულად დაისტამბა 1961 წ. და დიდი როლი ითამაშა დასავლური ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიაში. ნაშრომი კვლევას წარმოადგენდა არა მხოლოდ შუას საუკუნეებს გერმანული ლეგენდიდან მოყოლებული გოეთეს, მალროს, თომას მანის და სხვათა ნაწარმოებებში, რომლებიც ფაუსტის ისტორიის ვარიაციებს წარმოადგენს, არამედ ბევრ სხვა ნაწარმოებშიც, სადაც ეს თემა შეფარვით, ირიბად ჟღერს. გაანალიზებული იყო ბევრი ისეთი თანამედროვე ავტორი, რომელთა შესახებ ჩვენს ქვეყანაში არა თუ კვლევა არ არსებობდა, არამედ უმეტესობას გვარიც არ გაეგონა. ის ავტორებიც, რომელიც მეტ-ნაკლებად ნაცნობი იყო ქართველი მკითხველისთვის სრულიად განსხვავებული რაკურსით იყვნენ წარმოდგენილი. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ამ მიმართულებით საინტერესო დაკვირვებებია ქართველ მწერალებზე, განსაკუთრებით ვაჟა ფშაველას შემოქმედებაზე, რომლის ინტერპრეტაცია ძალიან განსხვავდებოდა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული მოსაზრებებისგან.

მიხეილ კვესელავას ბოლო წიგნი ,,პოეტური ინავისტეგრალები'' (1977) გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას ეძღვნება. წიგნის სათაური თავად გალაკტიონის ლექსიდან იღებს დასაბამს:

> მას ხომ ჯერ ისევ ბავშვობის დროს,
> დიდი ხნის წინად,
> სიტყვებთან ბრძოლა და დაძლევა
> ჰქონია ჟინად.

ეხლა კი მის წინ გაიშლება
ფერნაალები -
უმაღლესი გზა - პოეზიის
ინტეგრალები!

ამ წიგნში მიხეილ კვესელავა მიზნად ისახავს მკითხველს აჩვენოს, რომ გალაკტიონის პოეზიის უნიკალურობა მის უდიდეს ნოვატორობაშია. იგი გამოყოფს სამი სხვადასხვა ტიპის ლექსს:

- **ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ი** , ანუ ლოგიკურ-სემანტიკური ლექსები, სადაც მეტყველების კლასიკური წესებია დაცული.
- **ა ს ო ც ი ა ც ი უ რ ი, სადაც** პოეტური ფრაზის ლოგიკურ სემანტიკური წყობა შესუსტებულია.
- **ი ნ ტ ე გ რ ა ლ უ რ ი, რომელშიც** პოეტური სემანტიკა ან მეტაფორების და სახეების ჩვეულებრივი სტრუქტურა თითქმის მთლიანად დარღვეულია.

ამ წიგნის განხილვის საგანი სწორედ ინტეგრალური პოეზიაა, პოეზია, სადაც სამყაროს ლოგიკურ-რაციონალურ აღქმას ირიბი ასოციაციები ენაცვლება, რაც ლექსის ,,მოყოლას'', მის ლოგიკურ ცნებებში მოქცევას შეუძლებელს ხდის. აგვარ ტროპებს მიიჩნევდა მიხეილ კვესელავა გალაკტიონის ინტეგრალურ პოეზიად და მათი ამოხსნა შეუძლებლად მიაჩნდა: მაგ. ,,ოცნება, ნახაზი საგანთა უარით'', ,,ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი'', ,,მთვარეში შავი შრიალებს ჩალა'.

გალაკტიონის ჭეშმარიტი გენია ბევრ შესაძლებელსა თუ შეუძლებელ პოეტურ ფენომენს აყენებს მწყობრში. მას ყველაფერი შეუძლია თქვას: უხილავი სიჩუმე, ღამის სიცილი, შუადღის გულმოდგინება, სნეული ფერები, შავი თოვლი, ყინვის სითბო, ყინულთ ჟრიამული, მზის სათავე, მზის სიზმარი და ათასი სხვა. ზოგჯერ ისეთ ლაღ პოეტურ სახეებს შექმნის, ლოგიკის ვერავითარ არტახებში ვერ მოამწყვდევ; იტყვის: რითმებივით ჩამოქნილი თითები, შენი შეშლილი ფერი, თუ შიშის ჩრდილით აკანკალდები... ამგვარ თქმებს ქართულ პოეზიაში გალაკტიონამდე ვერ შეხვდებით.

,,პოეტური ინტეგრალები'' ყველაზე უფრო მეტად ჰგავს ავტორს, იგი თავისუფალია იმ ხუნდებისგან, რომელიც სადოქტორო დისერტაციას, ანუ ,,ფაუსტურ პარადიგმებს'' ედო (თავად ხუმრობდა ხოლმე ,,ფაუსტურ პარადიგმებს'' რომ ვწერდი კოლეგა, ცნობილი გერმანისტი ოთარ ჯინორია მეუბნებოდა: გახსოვდეს, რომ გყავს ოჯახი და არსებობს სადისერტაციო საბჭოო). დროც შეიცვალა: 70-იანი წლების ბოლოს, ცენზურა და საბჭოთა სახელმწიფოებრივი მექანიზმები უკვე მორყეულიყო, მიხეილ კვესალავაც უკვე აღიარებული პროფესორი იყო, ბევრი დიდი თანამდებობაზე ნამუშევარი და უკვე ბევრად მეტი თავისუფლება შეეძლო მიეცა თავისი თავისთვის. ალბათ, სწორედ ამიტომ, ამ წიგნმა ყველაზე მეტი გულისტკივილი და თავდასხმა მოუტანა ავტორს. ძალიან დიდი სიახლე ჩვეულებრივ აშინებს ადამიანებს და ადვილად მისაღები არ არის. სავარაუდოდ, არც ის მოეწონათ, რომ თავის სფეროს, დასავლურ ლიტერატურას გასცდა და სხვების სფეროში შეიჭრა...

ეს წიგნი იმ პერიოდში იწერებოდა, როდესაც მე და ჩემი თაობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე მისი სტუდენტები ვიყავით. ამიტომ ბევრი რამ წიგნის დაბეჭდვამდე, ლექციებზე ვისმენდით, სადაც ხშირად სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც ესწრებოდნენ ხოლმე. ეს ლექციები იყო ნამდვილი დღესასწაული ლიტერატურის მოყვარული ახალგაზრდობისთვის.

გამოცდები რომ მოახლოვდა, შფოთვამ შემიპყრო. ვიცოდით, რომ გამოცდას ბატონი მიხეილი ძალიან ლმობიერად ატარებდა: რაც იცი იმაზე მესაუბრეო ეუბნრბოდა სტუდენტს, სამ-ოთხ წინადადებაში აწყვეტინებდა და თითქმის ყველას ფრიადს უწერდა. მივხვდი, რომ ფრიადი კი არ მინდა, მინდა, დამინახოს. ჰოდა, არ ვიცოდი, რამდენიმე წინადადებაში რა შეიძლებოდა მეთქვა ისეთი, რომ ყურადღება მიმეპყრო. ბოლოს პატარა ჩანახატი გავაკეთე იმ შთაბეჭდილებებზე აგებული, რაც მისი ლექციებიდან დამრჩა.

ერთი სემესტრი ჯოჯოხეთში

> უსიერ ტევრში, ამ ცხოვრების მეოთხედ გზაზე
> მოულიდნელად გამოცფხიზლდი გზადაკაგული.
> ანაზდეულად მომეახლა ვიღაცის ლანდი.
>
> ცისფერ თვალებში დემონური ცეცხლი უკრთოდა

და შევიცანი მე ამ ლანდში ჩემი ლექტორი...

ამ კაცს ერთი უცნაური სენი სჭირდა - დადიოდა და სელინივით ნისიად არიგებდა... არა სიკვდილს კი არა, საგზურებს, იმ იდუმალებით მოცულ სამყაროში გასამგზავრებლად, რომელსაც შესასვლელი აქვს, გამოსასვლელი კი - არა.

იდუმალი ხმა ჩამძახოდა: O homo, fuge! - განერიდე ადამიანო! როგორც ერთ დროს ადრიან ლევერკიუნს ურჩევდა ეს ხმა მუსიკის ჯადოსნურ ძალას განრიდებოდა. მაგრამ როგორც ის ვერ შეელია მუსიკის მაგიას, მეც ვერ გავექეცი ცდუნებას ცალი თვალი მაინც მომეკრა ამ იდუმალი სამყაროსთვის.

დასტურის თქმა ვერც მოვასწარი, რომ ყავისფერი საქაღალდე გამომიწოდა. გადავშალე თუ არა, საქაღალდიდან შლეპფუსი ამოძვრა. მიმოიხედა. კათედრას ეძებდა. ის ხომ ჰალის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს და თავი აქაც ლექტორი ეგონა.

- ბოროტება, პერსონიფიცირებული ბოროტებაც კი ღვთაებრივის მოუცილებელი ნაყოფია. ბოროტი თავისთავად კი არ არის ბოროტი, არამედ მხოლოდ ღვთაებრივის გვერდით. და არ არსებობს აბსოლუტური ბოროტება და აბსოლუტური სიკეთე - დაიწყო ქადაგება შლეფუსმა.

- ხედავ, როგორ გათამამდა ეს კუდიანი?! უწინ ძაღლის სახით დასდევდა ადამიანს., რას აღარ ჰპირდებოდა, რომ მისი სული მოეგო ახლა კათედრიდანაც კი ბედავ ქადაგებას.

- სამყაროს შექმნას თავისეფელბა უდევს საფუძვლად, თავისუფალი არჩევანის არსებობა., ანუ თავისუფლება ცოდვის ქმნისა. მაშ, გამოდის, ღვთისმოსაბობა იმას ნიშნავს, რომ უარი ვთქვათ იმ არჩევანზე., რომელსაც ღმერთი გვაძლევს.

- ყველა ადამიანს აქვს არჩევანი - შემახსენა თომას აქვინელის სიტყვები ჩემმა მეგზურმა. - დიდი გაიძვერა ვინმეა, ეს შლეპფუსი. ხომ ხედავ როგორ ცდილობს დიალექტიკური კავშირი დაამყაროს სიკეთესა და ბოროტება შორის. ამას თეოდიცია ჰქვია. ასე ცდილობენ ღმერთის გამართლებას იმაში, რომ ბოროტება არსებობს.



შლეპფუსი ალბათ კიდევ დიდხანს გააგრძელებდა თავის ქადაგებას, მაგრმ მოულოოდნელად საიდანღაც ყვითელბაფთიანი კაცი შემოიჭრა. თან ხელჩაკიდებული ფერადკანიანი ქალი მოჰყვებოდა. შემოსულმა შავი ვენერა იქვე კიბეებზე ჩამოსვა და შლეპფუსს სიტყვა გააწყვეტინა:

- პირმოთნეები და ფარისევლები ხართ ყველა. შუაზე ვართ გაჩეხილები ფორკიადებივით. რაო? დიადი ერთი? ჰმ... ღმერთიც ნაკლულია. სამყარო სიკეთის კი არა, ბოროტების ემანაციაა და მე დავალ და ბოროტების ყვავილებს ვკრეფ, ბოროტების ყვავილებს!

- ღმერთი მოკვდა. - ჩაილაპარაკა ჩემს უკან ულვაშებდაფაჩვნულმა კაცმა.

- მაშ, ლიტანია სატანას! - წამოიძახა ყვითელბაფთიანმა, - თქვენ კი თუ ჯოჯოხეთში არ ჩაგიხედავთ, ისე ჩემს წიგნებს ხელს ნუ მოიკიდებთ. - მოგვიბრუნდა ჩვენ.

სად იყო და სად არა, კარადიდან, რომელიც ახლაღა შევამჩნიე დემონური ხარხარი მოისმა, მას მოთქმა მოყვა, შემდეგ კი სიჩუმე ჩამოვარდა. კარადიდან თმაგურძგნული ბიჭი გადმოძვრა. ხელში ნაწერები ეჭირა.

- აი, თქვენ, მომიბრუნდა მე - ცისფერი თმები და ყვითელი წამწამები გაქვთ.მერე სარკეს მიუახლოვდა. დიდხან, ძალიან დიდხანს ჩასცქეროდა საკუთარ თავს. მერე შეძრწუნებული შემობრუნდა: თითქოს თავისი შემაძრწუნებლად სხვა დაინახა სარკეში.

- ჯოჯოხეთს სხვაგან ნუ დაუწყებთ ძებნას, - გვითხრა თითქმის ჩურჩულით, - იგი ჩვენშია, ჩვენში.

- ამან ერთი სეზონი იმოგზაურა ჯოჯოხათში მთვრალი ხომალდით. ისე, სინამდვილეში კარადიდან არ გამოუდგამს ფეხი - ამიხსნა ჩემმა მეგზურმა.

ამ დროს რაღაც ხმაური და ლაპარაკი მოისმა. მალე ორმა ადამიანმა შემოაბიჯა. ერთერთი მონა ლიზას სურათს მოათრევდა. შემოსულმა სურათი კედელზე მიაყუდა და თავის თანამგზავრს მიუბრუნდა:

- - ქაოსია სამყარო. მოუწყობელ სამყაროშია გადაგდებული ადამიანი.

- სიცოცხლე იმადაც კი არ ღირს, რომ იცოცხლო. - კვერი დაუკრა მეორემ.

პირველი ისევ სურათისკენ მიბრუნდა:

- ეს კი დამდგარა აქ და იღიმება. თანაც ასე მშვიდად.

- მერე სულერთია დაგწვავო, წამოიძახა და სურათს ნავთი გადაასხა.

მეტის მოთმენა აღარ შემეძლო.

- ნუთუ ქაოსია სამყარო? ნუთუ ამაოებაა ყოველი? - შეძრწუნებული მივუბრუნდი ჩემს მეგზურს. იგი მშვიდად იღიმებოდა.

- იცი, სახარებაში რა წერია? -მითხრა მან, - სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველიო. ამათზე კი იცი, რას ვიტყოდი: ბოროტებითა ბორიტების დამთრგუნველი და ქვეყანასა ზედა სიკეთისა დამამკვიდრებელი.

სახარების ხსენება და ჩვენი ჯოჯოხეთიდან გამოყრა ერთი იყო.

აი, ეს ოპუსი წავუკითხე გამოცდაზე. ბევრი იცინა. მერე მირჩია ესეები წერეო. ქართული ლიტერატურათმცოდნეობის საუკეთესო ნიმუშები ესეს სტილშია შექმნილო. გერონტი ქიქოძე ახსენა, ერეკლე ტატიშვილი. მე გულში ვიფიქრე, რომ თავად მისი წიგნებიც ამ სტილით არის დაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ესე მცირე ფორმას გულისხმობს, მიშა კვესელავას წიგნები კი ყველა დიდტანიანია. მთავარი, ამ შემთხვევაში არა მოცულობაა, არამედ წერის მანერა, რომელიც სუბიექტურ და ასოციაციურ ტექტს წარმოქმნის, რომელშიც ავტორის მკვეთრი ინდივიდუალობა იკვეთება, ნაცვლად მკაცრად არგუმენტირებულ და ლოგიკურად ჩამოყალიბებული მსჯელობისა.

მიხეილ კვესელავა იმდენად ღრმა და საინტერესო მოაზროვნე იყო, რომ შეუძლებელია მის ახლო-მახლო აღმოჩენილ ადამიანზე ძალიან დიდი გავლენა არ მოეხდინა. სწორედ ამით აიხსნება მისი როლი ქართულ კინემატოგრაფსა და თეატრზე. იგი რამდენიმე წელი იყო კონოსტუდია ,,ქართული ფილმის დირექტორი''. რეზო ჩხეიძისგან რამდენჯერ მსმენია, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მიხეილ კვესელავას ახალი თაობის, დამწყები რეჟისორებისთვის გზის გახსნაში: როგორ ცდილობდა გამოსავალი მოეძებნა, რომ ფორმალობების და შეძღუდვების მიუხედავად ქართული ფილმის ფენომენი შექმნილიყო. ცალკე

აღნიშვნის ღირსია მისი წვლილი თენგიზ აბულაძის ფილმის ,,ვედრება'' შექმნაში. ფილმის სცენარის ავტორი რეზო კვესალავა იყო, მიხეილ კვესელავას მოგვარე და მისი ნამოწაფარი, რომელსაც არაერთი საინტერესო სცენარი აქვს შექმნილი. ,,ვედრების'' მთელი კონცეფცია მიხეილ კვესელავას საუბრებიდან არის აღმოცენებული, რონეკც სათავეს მისი წიგნიდან ,,ფაუსტური პარადიგმები'' იღებს. ქართული თეატრის მოდენიზაციაშიც იგრძნობა მიხეილ კვესელავას კვალი, თუნდაც ბრეხტის ესთეტიკის, ბახტინის კარნავალიზაციისა და ფორმის მიმართ დაინტერესიბით, რომელიც მისი სიძის რობერტ სტურუას სპექტაკლებში ჩანს.

დიდი ხნის წინ, როცა ჩვენი ფაკულტეტის დამაარსებლისა უცხო ენების კათედრის პირველი გამგის ერეკლე ტატიშვილის ხსოვნის საღამო იყო, მიხეილ კვესელავამ ასე გაიხსენა თავისი დიდი მასწავლებელი: ,,ამბობენ წიგნები არ დარჩენია ერეკლე ტატიშვილს, მაგრამ განა ჩვენ მისი მოსწავლეები მისი ხელით დაწერილი წიგნები არ ვართ? აბა, გავიხსენოთ რამდენი რამ არ დაიწერებოდა, არ ითარგმნებოდა, ერეკლე ტატიშვილი რომ არ ყოფილიყო?''

მიხეილ კვესელავას ბევრი წიგნი აქვს დაწერილი, მაგრამ თუ ამ წიგნებთან ერთად იმასაც მოვიაზრებთ, რამდენი რამ არ დაიწერებოდა, არ დაიდგმებოდა, არ შეიქმნებოდა, მისი ხელშეწყობის, გავლენის, შთაგონების გარეშე, მაშინ მიხეილ კვესელავას ფიგურის მასშტაბები გაცილებით უკეთ წარმოჩნდება.